



— შეხედე, საახალწლოდ როგორ მიეჩვენებათ სახლებში!
— საახალწლოდ კი არა, ლიფტი ჩერდება 12 საბითუმ და იმისი ეზი ნიბათ!



— ამაოდ იპრანჰები! მთელმა ქვეყანამ გაიგო, რა ქვა გულიც ჰქონია!



უკვე აქ ხარ, მობრძანდი, ფურცელ-ფურცელ გვეწვი და მეთე სუთწლედის აკვნად გადაგვერწვი!

მარტო ფეხით? გულითაც უოფილიყვ კეთილი, უკაზმავი სიპართლის კვლავ მოგვეც გაკვეთილი!

მარტო მეთი არ კმარა, უკეთესსაც მომიკდე! — ხარ ხარისხის სუთწლედის, წელო, ხელისმომიკდე!

მოაცილე გულბოროტს ღვარძლი, როგორც გლანდები, ერთურთს არ დაშორო სიტყვა-საქმის ტანდემი!

შარშან, ალბათ, შენც იცი, ქალთა წელი იყო და... მათზე, თუნდაც გადაკვრიოთ, კაცი ვერას იტყოდა.

ჩექმა-ქურჭი გამრავლდა, გნებავს, კიდეც ვუხშიროთ, მაგრამ, გაგიგონია, გამრავლება უშვილოდ?!

ეყოთ, რაც ქოშებიდან მოადინეს ტუპანი, ქერში გდებით რამდენიც მოაციდინეს აკვანი!..

გმადლობ, გულთან სულ ახლო ძმასავით რომ მომიშვი! მგონი, კიდეც დაგლალე, კალენდარო, ბოდიში!

ახლა შენი ჭერია — ვინძლო, გვადარბაისლო, სიყვარულის ბადაგით თასი უკვე აივსო!

საახალწლო ინტერვიუ

ნოდარ დუმბაქაძესთან



— პირველი იუმორისტული მოთხრობა რამ დაგაწერინათ? — იუმორმა!

— ამბობენ, ბალზაკს თავისი ყველა ნაწარმოები წაკითხული არ ჰქონდაო. თქვენ რას იტყვიან თქვენს ნაწარმოებზე?

— ვინც მაგას ამბობს, ბალზაკი საერთოდ არა აქვს წაკითხული და ჩემი ნაწარმოებები კი — მითუმეტეს!

— ჩვენ ბასკებთან საერთო გენეზისი გვაქვს. ხომ არ არსებობს ჰიპოთეზა, რომ სერვანტესის დედა გურიიდან იყო?

— გამორიცხებულია! სერვანტესის დედა რომ გურიიდან ყოფილიყო, ბანძაროს ჰაერით და ადესა ღვინოზე გაზრდილ ქალს ესპანეთში რა წაიყვანდა?!

— „ნიანგი“ თუ გაქვთ გამოწერილი? — არა. მე მგონი, კაცი, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში „ნიანგის“ რედაქტორი იყო, კია იმის ღირსი, რომ „ნიანგის“ თითო ნომერი სახლში გაუზავნონ!

— ამბობენ, ჰუმორი ჯანმრთელობაო. სატირა რაღაა?

— სატირაც და ჰუმორიც, ორივე, აქიმი!

— რამდენი ჰობი გაქვთ? — არც ერთი! იმიტომ, რომ თავისუფალი დრო არა მაქვს!

— ყველა ნაკლოვანება რომ გამოსწორდება, რაზე დაიწერება სატირული იუმორისტული ნაწარმოებები?

— იმაზე, რომ საზოგადოება ისე ვაფუჭდა, იუმორის გრძნობა დაჰკარგა!

— ხომ არა გაქვთ შეკითხვები უფრონალ „ნიანგთან“?

— მხოლოდ ერთი შეკითხვა მაქვს: ჩემს დროს „ნიანგის“ მთავარი ტექნიკური რედაქტორი, მიშა კუხალაშვილი, ექვს ლიტრა ღვინოს სვამდა და ახლა რამდენლიტრიანია?

— რას უსურვებთ „ნიანგის“ მკითხველებს?

— არასდროს „ნიანგის“ საკბილო და საპატრონო არ გამხდარიყვნენ!

— გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პაპისპაპობას!

— უზომო მადლობას მოგახსენებთ და გისურვებთ თქვენც, ბედნიერი ახალი წელი გაგთენებოდეთ!

ინტერვიუ აიღო ავთანდილ ალექიშვილმა



უსიტყვოდ



უსიტყვოდ



— აი, შვილო, ნაპოს ხმც გაგიმართეთ!



თამაღის საახალწლო მიმროფონი

ნ.ბ. რ. სანადირაძის



უსიტყვოდ



— იმედია, ღმრს მაინც შვს-
ხვდებით ერთმანეთს!

ნ.ბ. ნ. ძემუხომილისა

საქმისაქართო გიუროს ცნობით

ბუნებაში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს განკუთვნილი და მათ წინდაუხედავ გადაადგილებას, შეიძლება, ისეთი დისონანსი მოჰყვეს, გაჩენის საათი გაწყველინოს! რა ცეცხლში ჩამაგდო ასო „ე“-ს არაფრად ჩაგდებამ და ამოგდებამ, ახლავე გიამბობთ:

ჩემს მარიკას მზითევეში არც უძრავი ქონება მოჰყოლია და არც მოძრავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ბიძაშვილ კოსტა ბრეგვაძეს, რომელიც, მოძრავთან ერთად, კარგი ღვთისპირიდან გადავარდნილიც გახლდათ: სამხარეულოში ქვაბის გარინინება და მისი თავზე წამოღვომა, მიქელ-გაბრიელივით, ერთი იყო. წამოჯდებოდა სუფრის თავში ხვითოსავით და ყბის რამდენიმე მოქნევით ანადგურებდა ჩვენს ავლა-დიდებას. სად ცხოვრობდა კოსტა, ჰქონდა თუ არა ოჯახი და, საერთოდ, იყო თუ არა ოჯახში შემოსაშვება, ეს ჯერ კიდევ საიდუმლოების ბურუსით იყო მოცული.

ერთ საღამოს გაუწყრა ღმერთი კოსტას, შეაგდო ქვა: საახალწლოდ უნდა მეწვიოთო! დამიგდო სავიზიტო ბარათი და ფანტომასივით გაქრა...

ძველი წელი უკვე სულთმობრძავი იყო, მე და მარიკა, ტორტით ხელში, ტაქსს რომ ჩავუსაფრდით.

— საით? — იკითხა მძლოლმა.

— ახლავე! — ვთქვი და ვეცი გულის ჯიბეს, — ამ წუთში! — და ორივე ჯიბე ამოვატრიალე, — ამ საათში! — ახლა შარგლის ჯიბეებს ვეტაკე, მერე პალტოს ჯიბეებს ვებდღვინი... შემომეკიდა ცეცხლი...

— დაკარგე მისამართი, შე ამ ქვეყნიდან

დაკარგული?! — მკითხა თავაზიანად მარიკამ.

— ამოაყოლებდი, ჯიბეები რომ გამინიავე! — დაფასკვენი მე, — რას შერები ახლა?

— რამ მოგილო ბოლო, მე უბედურო — გამამხნევა მარიკამ, — მივალთ ცნობათა ბიუროში და, კოსტა ბრეგვაძეს კი არა, მთელ მის ნათესაობას ჩამოგვიკაკლავს, ვინ სად ცხოვრობს!

წავედით და მივადექით:

— კოსტა ბრეგვაძის მისამართს ვერ მიმასწავლით? — ვკითხე სარკმელში გამოჩრილ ქალს.

— ფული გაქვს? — მკითხა ქალმა და ერთი შემოხედვით მომითაქსა თვალებში მოვეწონე! ელექტროდენმა გამიარა გულში (მაინც სულ სხვაა სხვა ქალი!).

— რამდენი გნებავთ? — ვკითხე ღმილით და სარკმელში შეძრომას ცოტა დამაკლდა.

— 5 კაპიკი გადაიხადე და ნუ მეღრიჯები, თუ ღმერთი გწამს! — შამპანურის საცობივით მისროლა სარკმიდან. ჩაიწერა გვარი, სახელი, გადარეკა, გადმორეკა, დამიწერა მისამართი და მოგვცა. 12 სრულდებოდა. მივადექით.

— კოტე არ გახლავთ, ბატონო! — გვითხრა ახალგაზრდა ქალმა, მაგრამ ყოყმანი რომ შეგვნიშნა, აღარ მოგვეშვა.

..სუფრას სამნი ვუსხედით შევექცეოდით და ვყვებოდით მთისას და ბარისას.

— კოტიკოს ვენაცვალე მე, — ენას ძლივს ვაბრუნებდი უკვე ღამის 2 აათზე, — კოტიკოს ერთი ქალი უყვარდა...

— ა! — წამოიყვირა დიასახლისმა.

— უყვარდა, მერე რა, მეც ძიყვ... — კინალამ გვერდი ამაგლიჯა მარიკამ.

— ახლაც უყვარს, თუ იცით? — მკითხა ქალმა და თვალი აუცრემლდა.

— ხომ იცით, სიყვარული ძალსა შენსა... — მარიკას მეტისმეტი მოუვიდა... მერე აღარაფერი მახსოვს. განთიადისას მამაკაცის ბარიტონმა გამომაღვიძა.

— ქალო, ვინ გადაგრია ამ ახალწლის ღამეს?!

— შენმა ბავშვობის მეგობარმა ყველაფერი თქვა, ყველაფერი! — ზღუქუნებდა ქალი.

— ვინაა ის ოხერი, ოჯახი რომ ამიფორიაქა?! — იყვირა კაცმა და საძილე ოთახში შემოვარდა.

— ვის ემუქრები, კოსტაია?! — გამეცინა მე და თავი წამოვწვიე ლოვინიდან... ნეტავი, იქვე გავთავებულყავი! რომელი კოსტა ბრეგვაძე! ჩვენი ტრესტის მმართველი კონსტანტინე ბრეგვაძე მედგა თავზე!

— რომელი ხარ შენ? — დამიბრიალა თვალები და საბნინან-ლეიბიანად გამხვრიტა.

— მე... მე... მე... — დამლაშამ გამათავა.

— შენ... შენ... იმ ქარხნის საამქროს უფროსი არა ხარ? — მიცნო და განცვიფრდა, — საიდან მოხვდი აქ?

— სამისამართო ბიურ... ბიუროს ცნობ... (ცნობას ვკარგავდი!) როგორც იქნა, მომასულეიერეს. მოვუყევი, როგორ მოხდა ყველაფერი. ბევრი იცინა თვითონაც და დიასახლისმაც, მერე მაგიდას მივუჯექით, ჭიქები შევავსეთ და ახალი წლის საღღვრძელო შევსვით.

კაპი მუხურაძე

დიკლომატი

გენო: ისიდორე, მათხოვე შენი თოფი, კატა შეუჩნდა ჩვენს ძა-ცივარს!

— კი, გენაცვალე, წაიღე!

გენო: პოლინრონიონ, მათხოვე შენი ორლულიანი თოფი, ძალი დასუნსულებს ჩვენს საქათმეში!

— კეთილი საქმისათვის როგორ დაგიჭერ თოფს!

გენო: იაკინთე, მათხოვე შენი სამლულიანი თოფი, ვირთხების სროვა დაეცა ჩვენს სათავსოებს!

— აი, მესმის კაცი, ხალხისთვის ზრუნავს... მითხოვებია თავისი სა-ვაზნებიო!

გენო: პოლიკარპოვიჩი, მათხოვეთ თქვენი ერთლულიანი „მან-ლიჰერ კარკანოსი“, ჭოტია შემო-ჩენილი, მთელი ღამე კარგ მე-ზობლებს დაგვიხავის!

— ინებე, ოპტიკური მოწყობი-ლობაც ზედა აქვს!

... ახალი წლის დადგომას წუთე-ბი უშლიდა ხელს, ანაზღად გა-იღო რვასართულიანი სახლის ფანჯრები, ერთდროულად გავარ-და ბგერები:

— გენო, გენო! ჩემი თოფი!.. რა უყავი ჩემი სამლულიანი, სად ჩანდაბაშია, ჩემი „ზაფერი“?!

გენოს კი თავიქვეშ ამოებალიმე-ბინა მეზობლებისაგან ნათხოვარი თოფები და ახალი წლის მიჯნაზე მშვიდად ფშვინავდა.

აბთანდრე ადვიზილი

ნახ. მ. აბაშიძისა



— რა მოგაქვს?
— გორჯობი და ბალიძოლი! ვი-სოლი, მთვრალი და მხვდელი!



— ჩემი შვილებსთვის არ შემიჭ-მეხია იმდენი შოკოლადი, რაც აქას შევაჭამე, მაგრამ ამის ტაბილად და-ბერებებს მაინც არ დააღბა სხვებში!

კასუხებიანი შეკითხვები

— ღვინოში დამხრჩვალის გადარჩენისათვის რა-ტომ არ არის დაწესებული მედალი?

— იმიტომ, რომ ღვინოში დახრჩობა ბევრს ჯერ კიდევ ვაჟკაცობა ჰგონია!

* * *

— თათბირებსა და კრებებზე დახარჯული დრო თუ ჩამეთვლება მუშაობის სტაჟად?

— ჩაგეთვლება იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ღონის-ძიებებზე არ გეძინათ!

* * *

— ამბობენ, თბილ ადგილზე ჯდომა ყველას უყ-ვარსო. თუ ასეა, მაშინ რატომ არ არიან საქართველო-ში პინგვინები?

— იმიტომ, რომ მათ არ იციან ნაკვერჩხალზე შემ-წვარი მწვადის გემო!

* * *

— „ჭკუის სწავლება ყველას სძულს!“ — ეს გა-მოთქმა ბავშვებზედაც ხომ არ მოქმედებს?

— მოქმედებს, მაგრამ მაშინ ჩვენ, დიდებმა, რაღა ვქნათ? ვილაცამ ხომ უნდა ვასწავლოთ ჭკუა?!

მურთაზ აბაშიძე

უცხოური იუმორი

● **წარწერა** ავტოსარემონტო სახე-ლოსნოს კარზე: „მუხრუჭების შემოწმება ღირს სამი დოლარი, დასაფლავება — სამასი! და-ფიქრდით და კარგად აწონ-დაწონეთ!“

ს ა კ ს ა ლ ნ ლ ო ს ა ლ ე ლ ო ბ ო

ჯანსუღ კახიძის

გვაჩუქა ჯანსუღ კახიძემ აღფრთოვანება ორკეცა: მოგვიხბლა, მოგვაჭადოვა სიმფონიური ორკესტრით! უღირაფორა ზეპირად რთულ ნაწარმოებს სტრავინსკის! მსურს, ვაღლდეგრძელო ჯანსუღი! დამაღვივებო! დამისხით!

კონსტანტინე ლორთქიფანიძის

შენ ტკივილებით სავსე კაცი ხარ! არ გიყვარს ყალბი ტაში და ვაშა! პირდაპირ ამბობ, ვინც და რაც გიყვარს! არასდროს ცდები არვისთან, არსად! ნატვრისთვლივით ხალხი გნატრობს და ვინც შენ გებრიოდა, ამაოდ, დაშვრა!

მურმან ლეხანიძის

ორმოცდაათი ვაჟკაცურად განვლილი წელი, ერთი ამდენი გასავლელის, მკერა, მაცნა!.. კიდევ რამდენი დასაპურობი სიმაღლე გეღოს! კიდევ რამდენი გამარჯვება დაგიფასდება! ქართული ლექსის ხარ ახალი ცხოველი სვეტი! შენს პოეზიას მშობლიური მიწის ფასი აქვს! — არავითარი სხვა სათქმელი, ამაზე მეტი, ძვირფასო მურმან, ჭერჭერობთ, არ გამაჩნია!

მუსხრან მამაძარის

როგორც წვიმხარ, ისე მქუხხარ! საბას ცრემლად წვიმხარ, მუსხრან!.. და გვიცმა მეხი მუხას!.. და გედება ცეცხლი მუხას!.. ღმერთი მაინც არ გაგწირავს!.. ღმერთს შენებრი მუხა უყვარს!.. გვეავტორე! ჩვენს შურნალზე, გეხვეწები, მწყურალად ნუ ხარ!

გორის პაიჭაძის

ვერ ეტეოდი მფრინავ არწივშიც!.. აგვყავდი ცაში!.. არ გეყავა ტოლი!.. არც ქულეებისთვის და არც ტაშისთვის, — საქართველოსთვის გაგქონდა გოლი!..

გორის ფოცნიშვილს

ნაღდი ლექსით და ნაღდი წაკითხვით, გორის, მონუსხე ბეკრი! მოიწესრიგე ბინის საკითხიც და „შენ ხარ ვენახს“ მღერი! ქებით ყურები გადაგულა და მაინც ქება გეხმის! შენი ყოფილა, ძმაო, ქვეყანა! — მისი მუსიკაც, ტექსტიც!..

ეხვენი ხარაძის

მან გრძნებით იცის ცის სიღრმე და ვარსკვლავები ფარული! მალალი, მალლად მხედია, თვალი აქვს მზიურ-მთვარული! მისთვის ყველაზე ბრწყინვალე მნათობი არის მამული! მამულით ხარობს ხარაძე — კაცი ევგენიალური!

თამარ ჭუჭუნის

სალაღობოდ განწყობილი — მე — გაფრთხილებთ აქედანა: მოემზადეთ! — ჩაის მეფეს — ყუფუნის ვაჭებ, თამარს!.. მეღნად ვხმარობ ჩაის ნაყენს, ავტოკლამად — ჩაის ღეროს და ქალაღად — ჩაის ფოთოლს!.. გთხოვთ, ეს ქება ჩაიწეროთ!

სანდრო შანშიაშვილს

წელს გილოცავ, სანდრო, ახალს! — განვლენ მთვარის ვახშობაში! ბერმუხათა ბერმუხა ხარ!.. რუსთაველი განსოვს ბავშვი!.. გაუმარჯოს შენი ლექსის, შენი სიტყვის ქართულ ძალას! იცოცხლე და იღვრებოდე და აჯობე მათუხალას!

ოპროპირ შარაშანიძის

თავმჯდომარეც და კაცობის ნორმაც, ნიმუშო, ოქროპირ! სოფელი ჩაისუბანი სავსე გაქვს მწვანე ოქროთი! ყველა სახლშია სიკეთე, ღვინო, დოვლითი, კომფორტი და გეპურობიან ყველანი უსაყვარლესი მოპურობით!

ოთარ პილაძის

დიდ გზაზე ერთი მიდიხარ! — ეს იცის ერმან, მშობელმან! შენ ვერ დაგამხოს საწუთრომ — ყოვლისა დამამხობელმან! შენი გვარი და სახელი საუკუნეებს მოელოვას! დე, იგრძნოს აღფრთოვანება ყოველმან შენმან მკოველმან!

რამაზ ჩხიკვაძის

დაგვიპურო, მოგვაჭადოვა შეუდარებელ თამაშით! ზემი გვიდგას, სცენაზე რომ გამოჩნდება რამაზი! როდესაც ასახიერებს აზღაქს, კირილეს, ყვარყვარეს, — ვტირით!.. ვიცინით!.. — ის ლეთიურ ტირილს და სიცილს გვაყვარებს!

გივი წითლიძის

წინათ წიწილებს, წითლიძე, შემოდგომაზე ითვლიდნენ!.. შენ კი შეცვალე ეს წესი, აუმჯობესებ დღითი დღე: გაქვს შემოდგომა ყოველთვის!.. ნატანებს ავსებს სიმდიდრე!.. ხარ დიდი, დიდსულოვანი!.. იდიდსულოვნი! იდიდე!

ჯეორგო ბოლქვაძე



— ვანდა, სად შეხვდი ახალ წელს?
 — არსად, ახალი წლის შეხვედრა მე საწოლში მიყვარს.
 — აფსუს, რატომ ადრე არ ვიცოდი!



თაღლითობის რეკორდები

დიდი ბრიტანეთის კაზინოებსა და სათამაშო სახლებში დაამყარეს თავისებური რეკორდები მაქინაციებში, თაღლითობაში, მზაკვრობაში, ეშმაკობაში და ა. შ. — ამას იუწყება ლონდონის გაზეთი „სანდი ტაიმსი“. ხსენებულ სახლთა ღირსეული მენეჯერონენი არაფერს ერიდებიან, რათა, საბოლოო ჯამში, მოგებულნი თვითონ დარჩნენ, ხოლო მათი კლიენტები კი — პირში ჩალაგამოვლებული და გაცურებული ლონდონის უდიდეს სათამაშო სახლებში რულეტებს დაუყენეს ისეთი მოწყობილობა, რომელიც ცვლიდა ბურთულის ტრაექტორიას ფრიად საჭირო მომენტში. უფრო წვირლ სათამაშო დაწესებულებებში, სადაც ტექნიკის ამ „მიღწევებზე“ ხელი არ მიუწვდებოდათ, ხმარობდნენ დანიშნულ ბანქოს.

აშშ-ის სათამაშო სახლის მფლობელები უფრო შორს წავიდნენ: ქ. რენოს ერთ-ერთ კაზინოში ქალაქის დამრიგებელ მანქანას დაუყენეს ელექტრომექანიზმი, რომელიც ბანკირს წინდაწინ აცნობებს, თუ რა კარტია დარიგებული.

პატიოსნება ფანტასტიკის ფარგლებს სცილდება!..



დებატირებს ვერაფერი გაუწყვიტაო...

დასავლეთი გერმანიის საცალო ვაჭრობის ფედერალურმა ასოციაციამ, ამ რამდენიმე ხნის წინ, ასეთი ცნობა გამოაქვეყნა: ქვეყნის წვრილმა სავაჭრობებმა გასულ წელს განიცადეს 2,5 მილიონი მარკის ზარალი... ქურდობის გამო. ბოლო წლებში მაღაზი ქურდების რიცხვი დასავლეთ გერმანიაში განუხრებლად იზრდება. ისინი იპარავენ პირდაპირ დახლიდან. შიუხედავად ტელევიზიის დამიზნებული ობიექტებისა და დეტექტივებისა, რომელნიც მყიდველის ყოველ ნაბიჯს თვალს არ აცილებენ, საქმე „სუფთად“ კეთდება. ქურდების ძირითადი არენა თვითმომსახურების მაღაზიებია.

ერთი საგულსხმო ფაქტიც: თუ აქამდე ამ პროფესიას ძირითადად ქალები მისდევდნენ, ახლა მათ პრიორიტეტი ვაჟკაცებს დაუთმეს. დღეისათვის ქურდბაცების ორი მესამედი კაცები არიან. ბოლოს და ბოლოს, რა ქალის საქმეა ქურდობა?! — ამას იტყობინება გაზეთი „ველტი“.



— როგორ შეხვდი ახალ წელს?
 — ძველი კაბითა და ძველი საქმროთი.
 პოლონურიდან თარგმნა
 სტანისლავ რაპინკა